დავით მაცაბერიძე *

ევროკავშირის კონტრასტული სახეები საქართველოში

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია ევროკავშირის წინააღმდეგობრივი რეპრეზენტაცია ქართულ პოლიტიკურ საჯარო სივრცეში საქართველოში მოქმედი პრო-დასავლური და ანტი-დასავლური/პრო-რუსული პოლიტიკური და სოციალური ჯგუფების საჯარო პოლიტიკური ნარატივების დეკონსტრუქციის გზით. რუსეთის ფედერაციის დეზინფორმაციული კამპანია და პროპაგანდა კრემლის ძირითად იარაღად იქცა საქართველოში ევროკავშირის იმიჯისთვის და პრო-დასავლური ძალებისთვის ძირის გამოსათხრელად. ნაშრომში გაანალიზებულია ევროკავშირის ცვალებადი პოლიტიკური დისკურსები ნარატივის ანალიზის მეთოდის გამოყენებით და წარმოაჩენს იმ მეტანარატივებს, რომლებიც ან ლეგიტიმაციას ახდენენ ან კი ძირს უთხრიან პრო-დასავლურ საგარეო პოლიტიკურ დისკურსებს. ურთიერთგამომრიცხავი მეტანარატივები ეფუძნებიან საერთო კულტურულ ფასეულობებს (პრო-დასავლური) და რელიგიურ ერთობას (პრო-რუსული): პრო-დასავლური ეყრდნობა ქართველების, როგორც უძველესი ევროპული ერის მითს და რუსეთის 200 წლიან კოლონიზაციის ფაქტს, რომელთაგან პირველი გვევლინება მენტალური რევოლუციისა და ევროპულ ოჯახში დაბრუნების სიმბოლიზმის სახით. ანტი-დასავლური ნარატივი ეფუძნება მართლმადიდებლურ ერთიანობას და იმის რწმენას, რომ დასავლეთსა და რუსეთს შორის ბალანსირებული პოლიტიკა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გზას წარმოადგენს. ეს ფაქტი იწვევს პოლიტიკური საჯარო სივრცის ფრაგმენტაციას საქართველოში. პრო-დასავლური ნარატივი ლიბერალური კონცეფციის გარშემო ვითარდება, რომელიც პოსტ-საბჭოთა ქართული საზოგადოების გარდაქმნას მენტალური რევოლუციის გზით ცდილობს. ნაშრომი ეფუძნება პოლიტიკური დის-

---

* ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება, პოლიტიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

კურსის ანალიზს და მიმართავს ელიტების საჯარო გამოსვლების ტექსტებისა და პოლიტიკური დოკუმენტების კრიტიკულ ანალიზს.

საკვანძო სიტყვები: ევროკავშირი, საქართველო, რუსეთი, საგარეო პოლიტიკა, რეპრეზენტაცია.

შესავალი

ქართული საჯარო პოლიტიკური ნარატივები ევროკავშირის შესახებ ეფუძნება სხვადასხვა პოლიტიკურ და კულტურულ მარკერებს - ნორმატიულ ასპექტებს, ტრადიციებს, რელიგიას და ისტორიულ წარსულს - რომლებიც აყალიბებენ ქართული ნაციის კოლექტიურ იდენტობას პრო- და ანტი-ევროპული საშინაო და საგარეო დისკურსების ლეგიტიმაციისა და დე-ლეგიტიმაციისათვის. ევროკავშირის ცვალებადი დისკურსები ქმნის მის ორმაგ სახეს პოლიტიკურ-კულტურულ სფეროში. ანტი-რუსული/პრო-დასავლური აქტორები ქმნიან რუსეთის, როგორც მუდმივი მტრის იმიჯს და ყურადღებას ამახვილებენ წარსულ გამოცდილებაზე - საქართველოს ანექსიაზე ცარისტული და საბჭოთა რუსეთის მიერ და ქვეყნის 200 წლიან ოკუპაციაზე, რასაც თან სდევდა რუსიფიკაციის მცდელობები და ქვეყნის პოლიტიკური და კულტურული ელიტების წმენდა. ანტი-რუსული რიტორიკა ეფუძნება რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ და ქმნის ევროპასთან არსებულ საერთო კულტურულ ფასეულობებსა და ქართველების, როგორ უძველესი ევროპული ნაციის იდეაზე დაფუძნებულ ნარატივს, რომლებიც ვრცელდება მენტალური რევოლუციისა და ევროპული ერების ოჯახში დაბრუნების სიმბოლიზმით. ეს ნარატივი ამტკიცებს, რომ ჩრდილოური ვექტორის ალტერნატივის გარეშე, რომელიც პრო-დასავლური ნარატივია, შეუძლებელია ქვეყნის ნაციონალური უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.

ევროკავშირის წარმოსახვა საჯარო პოლიტიკური ნარატივების მეშვეობით წარმოადგენს დისკურსულ პროცესს, რომლის მეშვეობით ინდივიდები, ჯგუფები და ნაციები აკეთებენ არჩევანს, აყალიბებენ იდენტობებს და უბიძგებენ ქმედებისაკენ (Ganz, 2016, 1). კონკურენტუ-

ლი საჯარო პოლიტიკური ნარატივები წარმოიშობა ცვალებად სოციალურ და პოლიტიკურ რეალობაში, დროსთან ერთად ყალიბდება და ტრანსფორმირდება პოლიტიკური აქტორების დროით და სივრცით განსაზღვრულ ნარატივებად. ქართველი პოლიტიკური და კულტურული ელიტები მანიპულირებენ პრო- და ანტი-დასავლური ნაციონალური პოლიტიკური დისკურსებით პოლიტიკური სარგებლის მიღების მიზნით. ევროკავშირის წინააღმდეგობრივი წარმოსახვა ახალ სოციო-კულტურულ გამმიჯნავ ხაზებს წარმოშობს და იწვევს პოლიტიკური საჯარო სივრცის ფრაგმენტაციას, სადაც „საჯარო დისკუსიები ეხება იმ საგნებსა და მოვლენებს, რომლებიც სახელმწიფოს მოქმედებასთან არიან კავშირში“ (Habermas et al, 1974, 49). საჯარო პოლიტიკური სივრცის დაყოფა ექსკლუზიური მეტანარატივების მეშვეობით იწვევს *იდეების გაზრის* ფრაგმენტირებას და სოციო-პოლიტიკური გარემოს დესტაბილიზაციას, ვინაიდან საქართველოში „ნაციონალური მითების წარმოქმნა წარმოადგენს ბუნდოვანი და საკამათო არგუმენტების გამოყენების მცდელობას ნაციონალური დოქტრინებისათვის ხალხის მობილიზაციისთვის ან ოპონენტების დისკრედიტაციისთვის“ და ის არის „ელიტების მცდელობების შედეგი კონკრეტული პოლიტიკური პროგრამისთვის მხარდაჭერის მოპოვებისთვის“ (Snyder and Ballentine, 1996, p. 66). საქართველოში მეტანარატივები წარმატებით გამოიყენება ელიტების მხრიდან მათი პოლიტიკური დისკურსისთვის მოსახლეობის სეგმენტის მხარდაჭერის მოსაპოვებლად ექსკლუზიური მეტანარატივების წარმოქმნის გზით.

ნაშრომი ეფუძნება ნარატივის ანალიზის მიდგომას, რომელიც წარმოაჩენს ევროპის შესახებ ნარატივის ელემენტებს მისი *ნაწილების ურთიერთმიმართების, მიზეზშედეგობრივი კავშირების* (ნორმატიული ინტერპრეტაცია, რომელიც ხსნის რატომ მოხდა კონკრეტული მოვლენა იმგვარად როგორც ამას ნარატივი გვთავაზობს), ნარატივის ელემენტების *შერჩევითი გამოყენების* (იმ ნაწილის მიზანმიმართული გამოტოვება, რომელიც არ ჯდება ავტორის სასურველ ნარატივში) და *ნარატივის დაგროვების/გაზრდის* (განმეორებითი მიბრუნება ნარატივ-

თან, რომელიც აყალიბებს კულტურას, ტრადიციას, ისტორიას) ჩვენების გზით. მმართველი ელიტა სხვადასხვა ელემენტებს ამატებს ნარატივს, ვინაიდან ნარატივები დინამიური და განვითარებადია თავიანთი ბუნებით. ნარატივის ანალიზის კრიტიკული მიდგომა მერყეობს ნარატივის მიღებასა და უარყოფას შორის: ნარატივის ზრდა იწვევს „ნარატივის ძალაუფლების მონოლოგის დამკვიდრებას“. ასეთ ფოკუსს მივყავართ შინაარსის ვალიდურობის ანალიზამდე სადაც მხედველობაში მიიღება ნარატივის ვალიდურობა, დროითი ჭრილი, კონტექსტუალურობა და ნორმატიულობა, რომლებიც საქართველოში ევროკავშირის სხვადასხვა იმიჯებს უქმნიან საფუძველს. მეთოდოლოგიური მოტივაცია მოდის პასუხისმგებლობიდან, რომ „სერიოზულად იქნება მიღებული ის, თუ რას ამბობენ პოლიტიკური აქტორები თავიანთ თავზე, და როგორ გვევლინებიან მათი პროექტები პოლიტიკური კურსის წარმმართველებად; ხოლო თვით-კონცეპტუალიზაციის გააზრება გვეხმარება ჩავწვდეთ მოტივაციებსა და მოქმედების ბუნებას“ (Bacon, 2012, p. 771).

საჯარო პოლიტიკური ნარატივები იქმნება და გამოიყენება პოლიტიკური ელიტების მიერ კონკრეტული პოლიტიკური დისკურსის ლეგიტიმაციისთვის, იქნება ეს ქვეყნის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკური კურსი. ნარატივები ერთი და იმავე მოვლენის წინააღმდეგობრივი და განსხვავებული ინტერპრეტაციების გზით ქმნიან ევროკავშირის განსხვავებულ სახეებს. ევროკავშირის, როგორ მტრისა თუ მხსნელის იმიჯი რუსეთ-საქართველოსა და საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებიდან ცალკეული მომენტების წინააღმდეგობრივი ინტერპრეტაციების გზით წარმოიშობა, რომლებიც კონკრეტული პოლიტიკური მესიჯის/ნარატივის გზით იჩენს თავს. ევროკავშირის სახეები - რუსეთის როლიდან მხსნელისა თუ ტრადიციული ქართული კულტურის მოწინააღმდეგისა - ურთიერთდაპირისპირებაში გვევლინებიან.

ევროკავშირის, როგორც მტრისა და მხსნელის სახეები წინააღმდეგობრივია, ვინაიდან ისინი იქმნებიან შერჩევითი დამახსოვრებისა და დავიწყების ტექნიკების გამოყენებით და რომელთაც ფართო მიმ-

ღებლობა აქვთ საზოგადოებაში. არსებული გამოწვევები და წინააღმ-დეგობები ცალკეული მოვლენების ინტერპრეტაციის გზით იქმნება და ელიტების მტკიცე ნარატივების სახით გვევლინება. ევროკავშირის ორ-ივე იმიჯი პოლიტიკურად მოტივირებული ნარატივების საფუძველს ქმნის, სადაც ცალკეული მოვლენები იმგვარად არიან დაკავშირებული, რომ ისინი ქმნიან კავშირებს ცალკეულ მოვლენებსა და დაგეგმილ პო-ლიტიკურ დისკურსს შორის. თითოეულ ნარატივს გააჩნია „მოქნილო-ბის რესურსი“ წარსულის საფუძველზე მომავალზე პროეცირებისათ-ვის, სადაც გამოიყენება რუსეთ-საქართველოსა და საქართველო-ევრო-კავშირის ურთიერთობების სხვადასხვა ეპიზოდები. ორივე ნარატივი გეოპოლიტიკის ძლიერი გავლენის ქვეშაა, ეს უკანასკნელი კი თითოე-ული საჯარო პოლიტიკური ნარატივის მიღმა გვევლინება.

ევროკავშირის ურთიერთგამომრიცხავი სახეები, რომლებიც მე-ტა ანუ გრანდ ნარატივების სახით გვევლინება, ერთი და იმავე გეოპ-ოლიტიკურ სივრცეზეა მიბმული - ევრაზიაზე, რომელიც სხვადასხვაგ-ვარად არის წარმოსახული და პროეცირებული რუსეთისა და ევროკავ-შირის მხრიდან და სადაც საქართველოს ცენტრალური როლი ენიჭება. ამგვარად, ევროკავშირის სახე ქართულ პოლიტიკურ საჯარო სივრცეში უფრო ფართო თამაშის ნაწილია, რომელიც ევროკავშირის აღმოსავ-ლეთ პერიფერიაზე მიმდინარეობს მოსკოვსა და ბრიუსელს შორის და ევრაზიის რეგიონში უსაფრთხოების გამბიტის ნაწილს წარმოადგენს. საერთაშორისო კონტექსტის განსხვავებული რეფლექსია და ინტერ-პრეტაცია, ასევე რუსეთ-საქართველოსა და რუსეთ-დასავლეთის ურ-თიერთობების კონცეპტუალიზაცია როგორც პრო-რუსული და ანტი-რუსული, ასევე პრო-დასავლური და ანტი-დასავლური ძალების მხრი-დან, საშინაო და საგარეო პოლიტიკური დისკურსების ფორმირების შე-საძლებლობას იძლევა, რომლებიც ევროპისა და რუსეთის ექსკლუზი-ური სახეების გარშემო ყალიბდება და წარმოჩინდება როგორც საქარ-თველოს მხსნელი ან მტერი. ეს ორივე სახე მტკიცედ არის დამკვიდრე-ბული ქართულ პოლიტიკურ საჯარო სივრცეში.

ექსკლუზიური მეტანარატივები აზიანებს საქართველოს ურთიერთობებს ევროკავშირთან რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზაციის სასარგებლოდ. ეს ნარატივები წარმოადგენს ნულჯამოვან თამაშს ქვეყნის უსაფრთხოების ხედვებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ინარჩუნებს პრო-დასავლურ კურსს, რეალურად შეინიშნება თანდათანობითი გადახრა რუსეთის პოლიტიკური და ცივილიზაციური სივრცისადმი, რაც გამოიხატება პრო-რუსული ძალების გააქტიურებით მედიასა და პოლიტიკაში. მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს პრო-რუსული ძალების მესიჯებისა და პროპაგანდის გამტარი საშუალებები ეფექტურად იყო დაბლოკილი და შეკავებული. ქართული ოცნების მმართველობის ქვეშ პრო-რუსული ძალების რიტორიკა უფრო ღია გახდა, რაც დასავლური კურსიდან რუსული/ჩრდილოური კურსისკენ გადახრის საფრთხეს წარმოშობს.

ეს ახალი რეალობა ადასტურებს იმ ფაქტს, რომ პრო-დასავლური მისწრაფება, რომელიც მეტწილად ელიტების დონეზე რჩებოდა საქართველოს მხრიდან 1991 წელს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ქვეყნის საგარეო პოლიტიკის უალტერნატივო და ერთადერთ კურსად არ იქცა. მისი ალტერნატივა, ჩრდილოური ვექტორი და პრო-რუსული სენტიმენტები, ძალზედ ძლიერია და თუ ისინი ანტი-დასავლურ ნარატივში გაეხვევა და პირდაპირ არ მიეწოდება საზოგადოებას როგორც პრო-რუსული კურსი, შეიძლება მარტივად აღმოჩნდეს მხარდაჭერილი ქართული საზოგადოების მნიშვნელოვანი ჯგუფების მხრიდან. ამ ორსახოვან ტენდენციას - პრო-დასავლური მისწრაფება და პრო-რუსული სენტიმენტები - რომელთაგან ეს უკანასკნელი იკვებება რელიგიური ასპექტებით, ქვეყანა არამყარ ნიადაგზე გადაჰყავს. პოლიტიკურად მერყევი და კულტურულად გაორებული რუსეთსა და დასავლეთს შორის, საქართველო შეიძლება აღმოჩნდეს ხაფანგში ძნელი არჩევანის პირისპირ: ან გადარჩეს ნორმატიულად დატვირთული ევროპის მიერ, რომლის კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს, ან მიეკედლოს დიდ ძმას - რუსეთს, მორჩილების გამოცხადების სანაცვლოდ;

ეს უკანასკნელი კი შესაძლებელია პრო-დასავლურ კურსზე ერთხელ და სამუდამო უარის თქმით მოხდეს.

გადანაცვლებები ნარატივში წარმოაჩენს ცვლილებებს კონცეპ-ტუალიზაციასა და პრიორიტეტებში, რომელიც ვლინდება ცვლილებე-ბით ცენტრალურ მოტივებში, დროებით ხასიათში, სიმბოლოებში, ელ-იტებში, ფაბულასა და ქვე-ფაბულაში.

1. **ცენტრალური მოტივი**: ნარატივის ცენტრალური მოტივი წარ-მოადგენს იმ პრიორიტეტებს, რომელთან მიმართებაში სხვა ელემენტე-ბი მეორეულ ადგილს იჭერს. პარადოქსულია, მაგრამ ნაციონალური იდეა ცენტრალურ მოტივს წარმოადგენს როგორც ანტი/პრო-რუსული, ასევე ანტი/პრო-ევროპული საჯარო პოლიტიკური ნარატივებისათვის. პრო-ევროპული ნარატივი წარმოაჩენს საქართველოს როგორც უძვე-ლეს ევროპულ ცივილიზაციას, რომელიც უნდა ისწრაფოდეს ევროპის უსაფრთხოების სისტემისაკენ. ანტი-ევროპული ნარატივისთვის, და-სავლეთი დაღმავალი ცივილიზაციაა, რომელიც საფრთხეს უქმნის სა-ქართველოს მართლმადიდებლურ მემკვიდრეობას.

2. **დროებითი ხასიათი**: ანტი/პრო-ევროპული საჯარო პოლიტი-კური ნარატივების ცენტრალური მოტივები კონსტრუირებულია მოვ-ლენებისა და ელემენტების შერჩევითი გამოყენებით: პრო-ევროპული ნარატივი ამტკიცებს, რომ რუსეთის მხარდაჭერა ქართული სამეფოებ-ისადმი იყო არა რუსეთის სურვილი დაეცვა თავისი ქრისტიანი მეზო-ბელი, არამედ რომანოვთა იმპერიის გაფართოება ამიერკავკასიაში/სამ-ხრეთ კავკასიაში. ანტი-ევროპული ნარატივი ეფუძნება მის ლიბერა-ლურ, ანუ ანტი-ქრისტიანულ ელემენტებს. ამგვარად, „ნებისმიერი ამ-ბის შერჩევითი გამოყენება ნარატივიზაციის გზით მოითხოვს ნებისმი-ერი მოვლენის მნიშვნელობის წარმოჩენას სხვა მოვლენებთან დროით და სოციალურ ურთიერთმიმართებაში (Bacon, 2012, p. 775) და იმ მარ-თებული დროის შერჩევს, როდესაც ის შეიძლება გამოყენებულ იქნეს პოლიტიკური პროექტის სასარგებლოდ.“ ერთი და იმავე მოვლენები ურთიერთგამომრიცხავი გზით არის წარმოჩენილი ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა ნარატივების მიერ.

3. **სიმბოლოები:** ნარატივი „კონსტრუირებული კონფიგურაციაა“, სადაც ძირითადი თემები შედგება სიმბოლური პრაქტიკიდან და ჩამოყალიბებულია დროითი ურთიერთმიმართებებით (Bacon, 2012, p. 777). პრო-დასავლური ნარატივი კონცენტრირებულია ცარისტული და საბჭოთა რუსეთის დამანგრეველი მმართველობის სიმბოლოებზე საქართველოში - ქართული სამეფოების გაუქმება და სამეფო კარის წევრების დეპორტაცია რუსეთში, ქართული მართლმადიდებლური ავტოკეფალური ეკლესიის გაუქმება და ქართული ეკლესიების დახურვა, ლიტურგიის ენის შეცვლა. ეს ასევე მოიცავს ქართული ინტელიგენციის განადგურებას საბჭოთა მმართველობის მიერ 1937 წელს და შედარებით უკანასკნელი პერიოდის (1989, 1992-1993, 2008) მოვლენებს. ეს წარმოჩენილია როგორც მე-19 და მე-20 საუკუნეში საქართველოს გადახრა დასავლური განვითარების გზიდან.

4. **ელიტები:** ნარატივს სჭირდება ელიტა, რომლებიც მეტწილად პოლიტიკურ ელიტებს წარმოადგენენ - რომელთაც თავიანთი ადგილი აქვთ ფაბულაში და ცენტრალური როლი ნარატივში. საჯარო პოლიტიკურ ნარატივში პიროვნება უფრო ნაკლებად ჩანს და მეტწილად არაპერსონიფიცირებულ სისტემას და რეჟიმს წარმოადგენს, მაგრამ თავის თავს განსაზღვრავს დროებითი ხასიათის ჭრილში რომელიც ლიდერს აქცევს ყურადღებას. პოლიტიკური ლიდერი - აქტორ-ნარატორი - პოზიტიურ შეფასებას გვთავაზობს, როგორც გმირის ან მსხვერპლის, ხოლო ოპონენტს წარმოაჩენს როგორც ბოროტსა და სულელს. (იხ: Bacon, 2012, გვ. 774-779). ეს იყო ანტი/პრო-ევროპული საჯარო პოლიტიკური ნარატივის დამახასიათებელი შტრიხი: პირველი და მესამე პრეზიდენტები - ზვიად გამსახურდია და მიხეილ სააკაშვილი - ავითარებდნენ ანტი-რუსულ და პრო-დასავლურ (გამსახურდია ნაკლებად, სააკაშვილი ძლიერად) ორიენტაციებს, რომლის დროსაც ისინი მიმართავდნენ მათი წინაპრების გამოცდილებებს, რომელთაც საბჭოთა რეჟიმის მსხვერპლად წარმოაჩენდნენ, რაც რეზონანს პოულობდა საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილში. პრო-დასავლური/ანტი-ევროპული აქტორები, რომლებიც მეტწილად წარმოდგენილია კულტურული ელ-

იტებისა და სხვადსხვა არასამთავრობო ორგანიზაციების სახით - წინ წამოსწევენ საბჭოთა პერიოდის საქართველო-რუსეთის თანამშრომლობის მაგალითებს აკადემიური და კულტურული ხასიათის გაცვლების სახით და ქმნიან მათ მიერ სახელმწიფო ინტერესების დაცვის ამბებს სხვადასხვა დონის საბჭოთა სტრუქტურებში (მაგ. 1978 წლის ენის კანონი, ისტორიის სახელმძღვანელოების ნარატივები და ა.შ.). ამ ორი ნარატივისგან განსხვავებით, მესამე საჯარო პოლიტიკური ნარატივი, ცნობილი როგორც ნეიტრალური ნარატივი, ან პრო-ქართული ნარატივი, აკრიტიკებს მათ, ვინც ახლოს იყო რუსეთის საბჭოთა და პოსტ-საბჭოთა რეჟიმთან და რადიკალურ გზას მიმართავდა რუსეთის წინააღმდეგ და ამტკიცებს, რომ მიზანშეწონილია ბალანსირებული პოლიტიკის წარმართვა რუსეთსა და დასავლეთს შორის ქართულ-რუსული ურთიერთობების ნორმალიზაციისთვის და საქართველოს ტერიტორიული პრობლემების მოსაგვარებლად.

5. **ფაბულა და ქვეფაბულა:** ანტი/პრო-ევროპული საჯარო პოლიტიკური ნარატივები ვითარდება ერთი კონკრეტული ამბის - ცენტრალური მოტივის - გარშემო, რომელსაც გააჩნია ქვეფაბულა, რომლის მეშვეობით ნარატივი ინარჩუნებს რელევანტურობას, ვინაიდან ის ადექვატურია მიმდინარე მოვლენებისადმი და ასახავს მათ. წარმატებული საჯარო პოლიტიკური ნარატივი, ფაბულისა და ქვე-ფაბულის მონაცვლეობის გზით, ინარჩუნებს მოქნილობას, რაც მის ხანგრძლივ არსებობას უზრუნველყოფს. ქვე-ფაბულა უზრუნველყოფს ნარატივის ცენტრალური მოტივის მოქნილობას, რომელიც შენარჩუნებულია არა ალტერნატიული ამბის შემოტანით რეჟიმის მოწინააღმდეგეთა მიერ, არამედ თავად რეჟიმის მიერ შემოთავაზებული ახალი ამბის მეშვეობით. ქვე-ფაბულა ინარჩუნებს ნარატივის დინამიურობას. საჯარო პოლიტიკური ნარატივის კრიტიკული წაკითხვა დიდ ნარატივში არსებული ალტერნატიული ნარატივების გაცნობიერებას იწვევს. ფაბულისა და ქვე-ფაბულის ურთიერთმიმართება წარმოაჩენს პრიორიტეტებს, პოლიტიკის ალტერნატივებსა და პოლიტიკის არჩევანის შესაძლებლობებს (Bacon, 2012, გვ. 779-781), რომლებიც კონტექსტისა და ელიტების

პოლიტიკური ინტერესების შესაბამისად იცვლებიან. საქართველოს შემთხვევაში, ანტი/პრო-ევროპული საჯარო პოლიტიკური ნარატივები უზრუნველყოფენ დროებით ხედვას, გვთავაზობენ ამბავს შემდეგი სექციებით *"წარსულის გაკვეთილები," „თანამედროვე სიტუაცია" და „სასურველი მომავლის ქონის შანსი,"* რომლებიც დროსა და სივრცეში სპეციფიკურია, ფოკუსირებულია საქართველოზე და უფრო ნეგატიურ ელემენტებს მიაწერს ან დასავლურ ან რუსულ ნარატივებს. მოვლენებისა და ფაქტების შერჩევითი გამოყენება ქმნის სასურველ ხედვას (Bacon, 2012, p. 772) ქვე-ფაბულის ცვლილების გზით.

კვლევა იყენებს პირველადი და მეორადი წყაროების თვისებრივი ანალიზის მეთოდებს და მიმართავს დისკურს-ისტორიულ მიდგომას ცვალებადი პოლიტიკური ტენდენციების რეკონსტრუქციისათვის. დისკურს-ისტორიული მიდგომა რელევანტური მეთოდია, ვინაიდან ის წარმოადგენს „იმ ინფორმაციის სისტემურ მოგროვებასა და ანალიზს, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტულ წარსულ მოვლენასთან და მომავლის საწინასწარმეტყველოდ მიმდინარე პროცესების ახსნის შესაძლებლობას იძლევა." (Connaway and Powell, 2010, p. 79); პროცესზე თვალის მიდევნების მეთოდი, მისი მიზეზობრივი დასკვნის სახით (Bennett, 2010, 210) გამოყენებულია ცვალებადი პოლიტიკური ტენდენციების რეკონსტრუქციისათვის; ამ მიზნით ნაშრომი მიმართავს პოლიტიკის დოკუმენტებისა და კომენტარების მეორეულ ანალიზს. ეს საშუალებას იძლევა სხვადასხვა მიდგომები დაუკავშირდეს ერთმანეთს ენობრივი ტექსტების, დისკურსის პრაქტიკის და დისკურს მოვლენების, როგორიცაა სოციო-კულტურული პრაქტიკა, ანალიზის გზით (see: Norman, 1995).

გამოყენებული ლიტერატურის სია

- Bacon, E. (2012). "Public Political Narratives: Developing a Neglected Source through the Exploratory Case of Russia in the Putin- Medvedev Era," *Political Studies*, 60 (4): 729-952.
- Bechev, D., Nicolaidis, K. (Eds). (2010) Introduction: Frontiers, Memory, and Conflict in the Mediterranean, Mediterranean

Frontiers: Borders, Conflict and Memory in a Transnational World. London: I. B. Tauris.

- Bennett, A. (2010) Process Tracing and Causal Inference. In: Brady H and Collier D (eds) Rethinking Social Inquiry: Diverse Tools, Shared Standards.2nd edition, Lanham, MD. Rowman and Littlefield, 207–219. http://polisci.berkeley.edu/sites/default/files/people/u3827/Understanding%20Process%20Tracing.pdf (Accessed February, 2016).
- Civil Georgia (2004) 'President Saakashvili's inauguration.' available at: http://www.civil.ge/eng/article.php?id¼26694 [Accessed 11 August 2016].
- Connaway L, Powell R (2010) *Basic Research Methods for Librarians,* 5th edn; Santa Barbara, California; Denver, Colorado; Oxford, England. Greenwood Publishing Group.
- Cornell, S.E. (2018). The Impact of the Ukraine and Syria Conflicts on the Geopolitics of the South Caucasus, in *Geopolitics and Security: A New Strategy for the South Caucasus*, edited by Kakachia, K. Meister, S. Fricke, B. Konrad Adenauer Stiftung, Georgian Institute of Politics, German Council on Foreign Relations, pp. 231-265
- Detector Media (2017). Kremlin Influence Index, 2017. (Retrieved from http://mdfgeorgia.ge/eng/view_research/5 17.12.2017)
- Dzvelishvili, N., Kupreishvili, T. (2015). Russian Influence on Georgian NGOs and Media. Tbilisi. Available at: www. damoukidebloba.com, with support of IDFI, June
- [EI-LAT] European Initiative – Liberal Academy Tbilisi.(2016) Threats of Russian Hard and Soft Power in Georgia, Tbilisi. Available at: http://www.ei-lat.ge/images/doc/threats%20of%20russian%20soft%20and%20hard%20power.pdf (Accessed August, 2016)
- Falkowski, M. (2016). Georgian Drift – The Crisis of Georgians Way Westwards. Centre for Eastern Studies, Working Paper 57, Warsaw.
- Ganz, M. (2016). What Is Public Narrative?, Organizing Notes, Charts and Reflection Questions. *Organizing: People, Power & Change*, Harvard University.

- Georgian Ministry of Foreign Affairs (2000). 'Georgia and the world: A vision and strategy for the future.' available at: http://www.bits.de/NRANEU/docs/CFE/GeorgiaStrategy.pdf. [Accessed 2 October 2016]
- Georgian Ministry of Foreign Affairs (2006). 'Foreign Policy Strategy (2006-2009)' available at: http://mfa.gov.ge/index.php?sec_id¼8&lang_id¼ENG. [Accessed 2 October 2016]
- Gordadze, T. (2014). Georgia, LSE IDEAS, Reports, June 27. Available at: http://www.lse.ac.uk/IDEAS/publications/reports/pdf/SR019/SR019-Gordadze.pdf (Accessed August, 2016)
- Habermas, J., Lennox, S., Lennox, F. (1974). Entry on Jurgen Habermas. *The Public Sphere Encyclopedia Article (1964). New German Critique*, 3: 49-55.
- Jones, S.F. (2003). "The Role of Cultural Paradigms in Georgian Foreign Policy." *The Journal of Communist Studies and Transition Politics* 19 (3): 83-110.
- Jones, S.F. (2004). 'The Role of Cultural Paradigms in Georgian Foreign Policy' in Fawn (ed.) Ideology and National Identity in Post - Communist Foreign Policies. London: London Frank Cass, pp. 83-110.
- Jones, S.F., Kakhishvili, L. (2013). "The Interregnum: Georgian Foreign Policy from Independence to the Rose Revolution." In *Georgian Foreign Policy – The Quest for Sustainable Security*, edited by Kornely Kakachia and Michael Cecire, Konrad Adenauer Stiftung, 13-40.
- Kakachia, K. (2013). European, Asian, or Eurasian?: Georgian Identity and the Struggle for Euro-Atlantic Integration. In: Kakachia K and Cecire M (eds) Georgian Foreign Policy – The Quest for Sustainable Security. Konrad Adenauer Stiftung, 41-52.
- Kakachia, K. & Minesashvili, S. (2015). Identity Politics: Exploring Georgian Foreign Policy Behavior. Journal of Eurasian Studies, (6), 171-180.
- Kakachia, et al. (2018). Introduction, in *Geopolitics and Security: A New Strategy for the South Caucasus*, edited by Kakachia, K.

Meister, S. Fricke, B. Konrad Adenauer Stiftung, Georgian Institute of Politics, German Council on Foreign Relations, pp. 6-17

- Karadag, Y. (2019). Georgian Europeanization: The Ideational and Institutional Analysis, Thesis Submitted in Partial Fulfillment of the Requirements for the Degree of Doctor of Philosophy in the Programe of Area Studies, Graduate School of Social Sciences, Middle East Technical University, 2019 https://etd.lib.metu.edu.tr/upload/12622951/index.pdf.
- Lebanidze, B. (2016). Democracy under Stress: Western Fatigue, Russian Resurgence and Their Implications for Democratic Processes in Georgia. Georgian Institute of Politics (GIP) Policy Paper, February, Tbilisi.
- Lutsevych, O. (2016). Agents of the Russian World - Proxy Groups in the Contested Neighbourhood. Research Paper, Russia and Eurasia Programme, Chatham House. April. (Retrieved from https://www.chathamhouse.org/sites/default/files/publications/research/2016-04-14-agents-russian-world-lutsevych.pdf 30.06.2018)
- MacFarlane, N.S. (2015). Two Years of the Dream – Georgian Foreign Policy During Transition, Russia and Eurasia Programe, Chatham House – The Royal Institute of International Affairs, Research Paper, May, London.
- Mikhelidze, N. (2018). EU Global Strategy, Resilience of the East European Societies and the Russian Challenge, in *Geopolitics and Security: A New Strategy for the South Caucasus*, edited by Kakachia, K. Meister, S. Fricke, B. Konrad Adenauer Stiftung, Georgian Institute of Politics, German Council on Foreign Relations, pp. 266-282
- Mitchell, L.A. (2004) Georgia's Rose Revolution. Current History, 103 (675), 342- 348
- Nilsson, N. (2018). Russian Hybrid Tactics in Georgia, Central Asia-Caucasus Institute and Silk Road Studies Program. http://isdp.eu/content/uploads/2018/01/Russian-Hybrid-Tactics-in-Georgia.pdf (Accessed June, 2018).
- Nodia, G. (2005). 'Breaking the mold of powerlessness: The meaning of Georgia's latest revolution' in Karumidze, Z. and Wertsch, J. V.

(ed.) Enough! The rose revolution in the Republic of Georgia. New York: Nova Science, pp. 95-104.

- Nodia, G. (2010). Components of the Georgian national idea: an outline. Identity Studies, 1(1), 84-101
- Nodia, G. (2013). Divergent Interests: What Can and Cannot be Achieved in Georgian-Russian Relations. In Kakachia K and Cecire M (eds) Georgian Foreign Policy – The Quest for Sustainable Security, Konrad Adenauer Stiftung, 81-110
- Norman, F. (1995). Critical Discourse Analusis: The Critical Study of Language. Longman.
- Ó'Beacháin, D., Coene, F. (2014). Go West: Georgia's European identity and its role in domestic politics and foreign policy objectives. Nationalities Papers, 42(6), 923-941.
- Polyakova, A. (2016A), Putinism and the European Far Right, Institute of Modern Russia, 19 January. (Retrieved from http://imrussia.org/en/analysis/world/2500-putinism-and-the-european-far-right 01.03.2016)
- Raines, T., Goodwin, M., and Cutts, D. (2017). The Future of Europe – Comparing Public and Elite Attitudes. Research Paper. Chatham House – The Royal Institute of International Affairs, June (Retrieved from https://www.chathamhouse.org/sites/files/chathamhouse/publications/research/2017-06-20-future-europe-attitudes-raines-goodwin-cutts-final.pdf 26.12.2017)
- Simao, L. (2018). The Euroepan Union's New Eastern Partnership Policy, in *Geopolitics and Security: A New Strategy for the South Caucasus*, edited by Kakachia, K. Meister, S. Fricke, B. Konrad Adenauer Stiftung, Georgian Institute of Politics, German Council on Foreign Relations, pp. 18-44.

David Matsaberidze

Contrasting Images of the European Union in Georgia

The paper explores controversial representation of the European Union in the Georgian political public sphere through the deconstruction of public political narratives of the pro-Western and anti-Western/pro-Russian political and societal forces in Georgia. The dis-information incursion and propaganda of the Russian Federation in the societal landscape of Georgia – soft power capabilities of Moscow – have become the primary tools of the Kremlin to undermine the soft-power policy of the EU and the pro-Western/pro-EU driven agenda in Georgia. The study reflects on the rotating political discourses on the EU through narrative analysis and deconstructs those metanarratives, which legitimize or undermine the pro-Western foreign policy discourses in Georgia. The mutually exclusive metanarratives build on shared cultural values (the pro-Western) and religious commonality (the pro-Russian): the pro-Western – on the myth of Georgians as an ancient European nation and on the 200 years-long Russian colonization, embedded in symbolisms of "mental revolution" and "re-joining the European nations;" the anti-EU – on the Orthodox unity and on a belief that balanced politics between Russia and the West will restore country's territorial integrity. This fact contributes to the fragmentation of the political public sphere in Georgia and makes it vulnerable to the external encroachments. The pro-Western narrative evolves around liberal conceptions, which try to transform the post-Soviet Georgian society through 'mental revolution.' The political discourse analysis – understanding and interpreting meanings – refers to public speeches of elites and policy documents for deconstruction of narrative structures provided by the pro-Western political elites, as their causal explanations provide insights into the ambiguous and contradictory representations of the West/EU in the Georgian political public sphere.

Keywords: European Union, Georgia, Russia, Foreign Policy, Representation